

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი

სათათბიროს სხდომის

ოქმი № 16

10.11.2016

სათათბიროს 12 წევრიდან ესწრებოდა 9

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შესახებ (გ. მჭედლიშვილი);
2. სტუდენტთა სწავლების საფასურის დაფინანსების შესახებ (მ.მშვილდაძე);
მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: მენეჯერი გ. მჭედლიშვილი. მან აღნიშნა, რომ ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, სტუდენტთა კონტინგენტის შემცირების გამო, მცირდება 2 514 ლარით, ხოლო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებელი თანხა იზრდება 3 200 ლარით, რომელიც ინგლისური ენის სწავლის საფასურის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისათვის გადასაცემი თანხაა. შემოსავალი განისაზღვრება 3 148 386 ლარით, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელების დასაფინანსებელი თანხაა - 70 000 ლარი, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 65 488 ლარს, ხოლო ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებლად მისაღები თანხაა - 301 753 ლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვრება - 3 314 651 ლარით, ანუ დამტკიცებულზე 5 714 ლარით ნაკლები, რითაც შესაბამისად მცირდება ბიუჯეტის გადასახდელები, კერძოდ, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის სხვა შენობა-ნაგებობების “ პუნქტი.

ასევე განხორციელდა ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ:

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის სხვა შენობა-ნაგებობების პუნქტიდან „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში გადატანილ იქნა 90 357 ლარი; „შრომის ანაზღაურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტში - 17 804 ლარი; „შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურების“ პუნქტში - 1000 ლარი; „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯებში“ - 626 ლარი; „შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში“ - 1 064 ლარი; „კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების ხარჯში“ - 1 229 ლარი; „ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯში“ კი - 10 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: პროფესორები მ. მშვილდაძე მ. მაისურაძე; დ. ნოზაძე. მათ მხარი დაუჭირეს ბიუჯეტში ცვლილებებს.

დადგინეს: ფაკულტეტის 2016 წლის ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის სხვა შენობა-ნაგებობების პუნქტიდან „არასაცხოვრებელი შენობების“ პუნქტში გადატანილ იქნა 90 357 ლარი; „შრომის ანაზღა-

ურების“ მუხლის „პრემიის“ პუნქტში – 17 804 ლარი; „შტატგარეშე მომსახურეთა ანაზღაურების“ პუნქტში – 1000 ლარი; „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯებში“ – 626 ლარი; „შენობა- ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში“ – 1 064 ლარი; „კავშირგაბმულობის და სატელევიზიო მომსახურების ხარჯში“ – 1 229 ლარი; „ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯში“ კი – 10 000 ლარი.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

2. მოისმინეს პროფ. მ. მშვილდაძე. მან აღნიშნა, რომ ფაკულტეტის მიმდინარე წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 10 000 ლარი სტუდენტთა სწავლების დაფინანსებისთვის. მან სათათბიროს წევრებს გააცნო ფაკულტეტის სტუდენტების: ხ. ქოქუაშვილის (ჯგ.4303); ხ. ნალიყალაშვილის (ჯგ.4340ა); მ. მოსიაშვილის (ჯგ.4335ბ) და მ. ნასყიდაშვილის (ჯგ.4305); ქრისტინა ტყეზუჩავას (ჯგ.4335ა) განცხადებები სწავლების საფასურისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებით (თან ერთვის).

აზრი გამოთქვას: პროფესორები რ. კლდიაშვილი.მ. მაისურაძე; ნ. წერეთელი, თ. ცინცაძე.

დაადგინეს: ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაუფინანსდეთ სწავლების საფასური ქვემოთ ჩამოთვლილ სტუდენტებს შემდეგი ოდენობით:

1. ხატია ქოქუაშვილი (ჯგ.4303)	2250 ლარი;
2. ხატია ნალიყალაშვილი (ჯგ.4340ა)	1000 ლარი;
3. მარი მოსიაშვილი (ჯგ.4335ბ)	750 ლარი;
4. მარიამ ნასყიდაშვილი (ჯგ.4305)	550 ლარი;
5. ქრისტინა ტყეზუჩავა (ჯგ.4335ა)	562 ლარი;

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მიმდინარე საკითხები:

მოისმინეს: პროფ. მ.მშვილდაძე: მან სათათბიროს წევრებს გააცნო არქივარიუსის მ. ბანძავას განცხადება ფინანსური დახმარების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვას პროფესორები: რ. კლდიაშვილი; მ. მაისურაძე, მათ მხარი დაუჭირეს დაფინანსების საკითხს.

დაადგინეს: 2016 წლის ფაკულტეტის ბიუჯეტიდან გაეწიოს სოციალური დახმარება არქივარიუს მადონა ბანძავას 225 ლარის ოდენობით ხელზე.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

მოისმინეს: პროფ. მ.მშვილდაძე: მან აღნიშნა, რომ პროფ. ჟ.პეტრიაშვილმა დაწერა სახელმძღვანელო ”სალექციო კურსი არაორგანულ ქიმიაში” და ითხოვს ამ სახელმძღვანელოს დაფინანსებას (განცხადება თან ერთვის).

აზრი გამოთქვას პროფესორები: მ. მაისურაძე; რ. კლდიაშვილი. მათ მხარი დაუჭირეს სახელმძღვანელოს დაფინანსებას 300 ლარის ოდენობით.

დადგინეს: ფაკულტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდეს სახელმძღვანელო **”სალექციო კურსი არაორგანულ ქიმიაში”** (ავტორი ჟ. პეტრიაშვილი) 300 ლარის ოდენობით.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

სათათბიროს თავმჯდომარე, პროფ.

მდივანი, პროფ.

მ. მშვილდაძე

დ. ნოზაძე